



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ჯაში - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრ(ებ)ი:
ნატო ჯაში-შაინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
თამარ ბერიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ნათია მაკრახიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
გიორგი ხომასურიძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნანა შალამბერიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ინგა ანდიაშვილი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ქეთევან ბორაშვილი -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
შორენა კაკაბაძე -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება
- მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა
- ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

გეგმიური

არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის)	212815863

საიდენტიფიკაციო კოდი	
----------------------	--

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქუთაისი
ფაქტობრივი მისამართი	ბუხაიძის ქუჩა N9
საფოსტო ინდექსი	4600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://gogebashvili.com/contact.html
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	i.gogebashvilin1@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0431-25-77-50

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება MES 1 24 0001384860, 28.10.2024წ. - „შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	06 და 07 ნოემბერი, 2024წ.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების MES 1 24 0001384860, 28.10.2024წ. საფუძველზე, მიმდინარე წლის 6 და 7 ნოემბერს განხორციელდა გეგმური მონიტორინგი შპს

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლაში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის (ს/კ:212815863) მიერ ავტორიზაციის პირობების შესაბამისობის შეფასება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. სკოლის მოსწავლეებთან და მშობლებთან ექსპერტების კომუნიკაციამ კიდევ უფრო ნათელი გახადა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

აღსანიშნავია, რომ წარმოების ფარგლებში საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუების, შესყიდვების დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებულ მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს.

რაც შეეხება ვიზიტის შინაარსობრივ ნაწილს:

ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად განიხილეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, სკოლის დოკუმენტაცია. როგორც გაირკვა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მოქმედი საკანონმდებლო აქტები შესაბამისობაშია დადგენილ რეგულაციებთან, პროცესების ნაწილი არ იყო მტკიცებულებებით გამყარებული (დოკუმენტურად დადასტურებული). შესაბამისად, ექსპერტებმა გასაუბრების, ინტერვიუების და დაკვირვების საფუძველზე გამოიტანეს გარკვეული დასკვნები, შეჯერდნენ ერთიან პოზიციასზე. მათ რჩევით მიმართეს სკოლის წარმომადგენლებს - უზრუნველყოთ სკოლაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების დადასტურება მტკიცებულებების იმ ფორმით, რომელიც ყველაზე

ხელსაყრელი იქნებოდა სასკოლო საზოგადოებისთვის. თავის მხრივ, ეს უზრუნველყოფდა პროცესების მკაფიოობას და ორგანიზებულობას.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა განიხილა შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის NI სკოლის მიერ დაწყებით კლასებში შემავალი საგნების (ქართული ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება, მათემატიკა) შესახებ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, მოამზადა შეკითხვები მასწავლებლებთან ინტერვიუსთვის. შესაბამისი საგნების ექსპერტებთან ერთად გაესაუბრა სკოლის მასწავლებლებს და მიიღო მონაწილეობა საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების (ქართული ენა, მათემატიკა, მე და საზოგადოება, ბუნებისმეტყველება) დასკვნების მომზადებაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
170	154

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნაში არსებული ფაქტობრივი გარემოებები.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება <i>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)</i>
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება

	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	<input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	ხარვეზი
--------------	---	---------

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ გამოვლენილი ხარვეზი - საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში (შესაბამისობის გეგმაში) იკითხება, რომ დაწესებულებამ დაწყებითი საფეხურის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში (დანართი N 8) გაითვლისწინა ექსპერტთა მიგნებები, თუმცა განმეორებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დგინდება სტანდარტთან შესაბამისობა, კერძოდ სკოლამ ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყო დაწყებითი საფეხურის ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ცვლილებების იმგვარად შეტანა, რომ სავალდებულო თემის ფარგლებში სტანდარტით განსაზღვრული ყველა გრძელვადიანი მიზანი-სამიზნე ცნება -შედეგი მიიღწეს, გარდა ამისა მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ისტორიის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნები.
------------------------	---	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;	დაწესებულებამ უზრუნველყოს დასაქმებული თანამშრომლების (სულ 5) ცნობების წარმოდგენა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 31.12.2024წ.
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი სტატუსის მქონე მასწავლებლების დასაქმება სკოლაში შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2025 წ.
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული	დაწესებულებამ უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების შეთანხმება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 07.11.2025წ.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	<p>საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);</p>	
<p>ინდიკატორი N3.4.1.2</p>	<p>სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;</p>	<p>დაწესებულებამ უზრუნველყოს კვალიფიციური ექიმის დასაქმება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 15.06.2025წ.</p>
<p>სტანდარტი N2</p>	<p>სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური</p>	<p>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</p>
<p>ინდიკატორი N2.1.2.4</p>	<p>სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;</p>	<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები - რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებისათვის დანართების/დოკუმენტების შედგენა 15.06.2025 წლამდე, სადაც იქნება წარმოდგენილი სწავლა სწავლების ამსახველი აქტივობები/ნაბიჯები დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომის გათვალისწინებით.</p>
<p>სტანდარტი N2</p>	<p>სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური</p>	<p>სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია</p>

ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს საბაზო საფეხურის გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმებისათვის დანართების/დოკუმენტების შედგენა, სადაც იქნება წარმოდგენილი სწავლა სწავლების ამსახველი აქტივობები/ნაბიჯები, დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომის გათვალისწინებით (შესაბამისობის ცხრილში მითითებულ ვადაში 28.11.2024- 15.06.2025).
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებები - რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს საშუალო საფეხურის გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიის კურიკულუმებისათვის დანართების/დოკუმენტების შედგენა, სადაც იქნება წარმოდგენილი სწავლა სწავლების ამსახველ აქტივობები/ნაბიჯები, მათ შორის სამოქალაქო განათლების პროექტების განხორციელების მასალა დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომის გათვალისწინებით (შესაბამისობის ცხრილში მითითებული ვადა 28.11.2024 - 15.06.2025)

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი NI.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამე ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	მნიშვნელოვანია სკოლის მისიამ წარმოაჩინოს სკოლის იდენტობა, დაწესებულების მთავარი მახასიათებლები. სასურველია შეიცვალოს მისი ფორმატიც - სკოლის მისია საკმაოდ ვრცელია. არსებული ფორმულირება ზოგადი ხასიათის არის და მასში ასახული ასპექტების შესრულება ისედაც, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზანს წარმოადგენს

<p>ინდიკატორი NI.1.1.3</p>	<p>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;</p>	<p>მნიშვნელოვანია მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენისას დაწესებულებამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამსახველი მონაცემების დადასტურება უზრუნველყოს მტკიცებულებების იმ ფორმით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება მათთვის.</p>
<p>ინდიკატორი NI.1.1.4</p>	<p>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;</p>	<p>მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის ფილოსოფიის გაზიარება უფრო ფართო მასებისთვის /ყველა დაინტერესებული პირისთვის და გაითვალისწინოს მათი უკუკავშირი სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ფორმირებისას.</p>
<p>ინდიკატორი NI.2.1.2</p>	<p>სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას) ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;</p>	<p>სასურველია, სტრატეგიული გეგმის შედგენისას, დაწესებულებამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ამსახველი მონაცემების დადასტურება უზრუნველყოს მტკიცებულებების იმ ფორმით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება მათთვის.</p>
<p>სტანდარტი N3</p>	<p>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა</p>	<p>რჩევა</p>
<p>ინდიკატორი N3.1.2.5.</p>	<p>პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;</p>	<p>სკოლას მიეცა რჩევა, აწარმოოს სასკოლო საზოგადოების შეხვედრების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც გამოადგება სკოლაში მიმდინარე პროცესების შემდგომი დინამიკის თვალსაჩინო ხედვისთვის/შედარებისთვის, რევიზიისთვის.</p>
<p>ინდიკატორი N3.6.2.1</p>	<p>სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმის წარმოების წესი;</p>	<p>მნიშვნელოვანია სკოლის სხვადასხვა, შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული დოკუმენტები დამტკიცებული იყოს ინდივიდუალური ბრძანებებით (შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის NI სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით N83¹, 03.09.2024წ., დამტკიცებულია სრულიად განსხვავებული მარეგულირებელი დოკუმენტები). დაწესებულებას მიეცა რჩევა - ნუმერაციის მინიჭების დროს არ გამოიყენოს „პრიმი“ სიმბოლო. ასევე, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ ნუმერაციის დროს ათვლა განახორციელოს არა სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად,</p>

		არამედ, კალენდარული წლის შესაბამისად (რეკომენდაციის საფუძველი დაწესებულების პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების მინიჭებული ნომრები).
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	ექსპერტებმა რჩევით მიმართეს დაწესებულებას - რემედიაციის პროგრამა გამოიყენონ არა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, არამედ, საბაზო და საშუალო საფეხურზე - მნიშვნელოვანია დროულად განისაზღვროს პრობლემის ტიპი და დაიგეგმოს სირთულის დაძლევაზე ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<p>მათემატიკა - სასურველია, საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს წინა წლის კურიკულუმის რევიზიის შედეგები. წარმოადგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგს, თუმცა პედაგოგებმა გასაუბრები დროს აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს ითვალისწინებენ წინა წლის კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების გამოცდილებას. კარგი იქნება, თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს.</p> <p>სახელმწიფო ენა - თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ</p>

		<p>სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.</p> <p>გზამკვლევად გამოიყენეთ დაწყებითი საფეხურის სტანდარტი.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია ყოველი თემის დასრულების შემდეგ განახორციელოთ ფესტივალი და წარმოაჩინოთ თქვენი შემოქმედებითი პროდუქტი გამოფენის ან კედლის გაზეთის სახით.</p>
<p>ინდიკატორი N2.1.2.2.</p>	<p>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;</p>	<p>მათემატიკა - შუალედური მიზნების განსაზღვრის დროს კარგი იქნება დაწყებით საფეხურზე შეთავაზებული იყოს უფრო მრავალფეროვანი შემოქმედებით პროდუქტის შექმნა.</p> <p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, კურიკულუმში თავშივე მიუთითოთ თითოეულ თემასთან დათმობილი საათების სავარაუდო რაოდენობა.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია კურიკულუმში მიუთითოთ თითოეულ თემასთან დათმობილი საათების სავარაუდო რაოდენობა, ეს დაგეხმარებათ დროის სწორად განაწილებაში:</p>
<p>ინდიკატორი N2.1.2.3</p>	<p>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;</p>	<p>სახელმწიფო ენა - სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს თემატური კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.</p>
<p>ინდიკატორი N2.1.2.4</p>	<p>სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;</p>	<p>სახელმწიფო ენა - მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველსაყოფად და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობა გაზრდისთვის კურიკულუმის დაგეგმვისას სასურველია გათვალისწინებული იყოს სასწავლო მასალის დიფერენცირება და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება.</p>

		<p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია პროექტული სწავლებები დროს დიფერენცირების გათვალისწინებით მოსწავლეს მიეცეთ არჩევანის საშუალება, რომ დავალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი აქტივობით, მაგალითად დავალება შეასრულოს პლაკატის მომზადებით ან ბუკლეტის, პრეზენტაციის კედლის გაზეთის, ნახატის სახით.</p>
<p>ინდიკატორი N2.1.2.5</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.</p>	<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები - მე და საზოგადოებაში, ჩვენ საქართველოში კურიკულუმიდან გამომდინარე, შუალედური მიზნების მიღწევების შესაფასებლად შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.</p> <p>სახელმწიფო ენა - დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება);</p> <p>განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოებისას შეფასება გამოკვეთეთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხური შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით.</p> <p>ასევე სოლო ტაქსონომიის დონეების აღწერილობაც უნდა შეესაბამებოდეს შუალედური შედეგის შესამოწმებელი კონკრეტული დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს.</p>
<p>ინდიკატორი N2.2.1.3</p>	<p>სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;</p>	<p>მათემატიკა - სასურველია, წინასწარ შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს იცნობდნენ მოსწავლეები. შესაძლებელია მათი თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა. კარგი იქნება თუ ისინი თვალსაჩინო ადგილზე იქნება გამოკრული.</p> <p>მათემატიკა - კარგი იქნება კათედრის სხდომებზე განიხილებოდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ეფექტიანობა რასაც მოჰყვება მათი დახვეწა. ასევე კარგი იქნება</p>

		<p>დაინერგოს მოსწავლეთა ნამუშევრებით შედგენილი პორტფოლიოები შედგენა-შეფასების პრაქტიკა</p> <p>სახელმწიფო ენა - სასურველია, წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლე და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას.</p> <p>უცხოური ენები - სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე.</p>
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა - კარგი იქნება, თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	<p>მათემატიკა - კარგი იქნება შემდგომში კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მათი მშობლები, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და მოსაზრებები.</p> <p>კარგი იქნება თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს.</p> <p>სახელმწიფო ენა - თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები უნდა</p>

		<p>შესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.</p> <p>გზამკვლევადა გამოიყენეთ საბაზო საფეხურის სტანდარტი.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია ყოველი თემის დასრულების შემდეგ განახორციელოთ ფესტივალი და წარმოაჩინოთ თქვენი შემოქმედებითი პროდუქტი გამოფენის ან კედლის გაზეთის სახით.</p>
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	<p>მათემატიკა - კარგი იქნება, გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი. გადამოწმდეს თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმში ჩარჩოს შესაბამის ველთან.</p> <p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია კურიკულუმში თავშივე მიუთითოთ თითოეულ თემასთან დათმობილი საათების სავარაუდო რაოდენობა.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია კურიკულუმში მიუთითოთ თითოეულ თემასთან დათმობილი საათების სავარაუდო რაოდენობა, ეს დაგეხმარებათ დროის სწორად განაწილებაში:</p>
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	<p>სახელმწიფო ენა - სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველია საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს თემატური კონტექსტური მაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.</p>
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	<p>სახელმწიფო ენა - მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის გაზრდისთვის კურიკულუმის დაგეგმვისას სასურველია გათვალისწინებული იყოს სასწავლო მასალის დიფერენცირება და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება.</p>

		<p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია პროექტული სწავლებები დროს დიფერენცირების გათვალისწინებით მოსწავლეს მივცეთ არჩევანის საშუალება, რომ დავალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი აქტივობით, მაგალითად დავალება შეასრულოს პლაკატის მომზადებით ან ბუკლეტის, პრეზენტაციის კედლის გაზეთის, ნახატის სახით.</p>
<p>ინდიკატორი N2.1.2.5</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.</p>	<p>საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფიაში, ისტორიასა და მოქალაქეობაში კურიკულუმიდან გამომდინარე, ყველა შუალედური მიზნების მიღწევების შესაფასებლად შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუმბრიკები.</p> <p>სახელმწიფო ენა - საბაზო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება);</p> <p>განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოებისას შეფასება გამოკვეთეთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხური შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით. ასევე სოლო ტაქსონომიის დონეების აღწერილობაც უნდა შეესაბამებოდეს შუალედური შედეგის შესამოწმებელი კონკრეტული დავალების სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს.</p>
<p>ინდიკატორი N2.2.1.3</p>	<p>სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;</p>	<p>მათემატიკა - სასურველია, წინასწარ შემუშავებულ შეფასების რუმბრიკებს იცნობდნენ მოსწავლეები. შესაძლებელია მათი თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა. კარგი იქნება თუ ისინი თვალსაჩინო ადგილზე იქნება გამოკრული.</p> <p>მათემატიკა - კარგი იქნება, თუ მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზთან ერთად იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც მოსწავლეები</p>

		<p>შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკებით.</p> <p>სახელმწიფო ენა - სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას.</p> <p>უცხოური ენები - სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე.</p>
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა - კარგი იქნება, თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია წყლის ავზის ნაცვლად მარაგდებოდეს გამდინარე წყლის სისტემით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა	არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე გამოვლენილი რჩევა - საზოგადოებრივი მეცნიერებები - მე-11 კლასის საშუალო საფეხურის გეოგრაფიის კურიკულუმის მეორე სავალდებულო თემის

	<p>და განვითარების გზას;</p>	<p>ფარგლებში გრძელვადიანი მიზანად წარმოდგენილია „გეოგრაფიული მოვლენა, გეოგრაფიული პროცესი“, რომელიც საბაზო საფეხურის ფარგლებში მისაღწევი სამიზნე ცნებაა. მე-12 კლასის საქართველოს ისტორიის კურსკულუმში აისახოს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო თემა და მის ფარგლებში მისაღწევი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები.</p> <p>მათემატიკა - კარგი იქნება, შემდგომში კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მათი მშობლები, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და მოსაზრებები.</p> <p>კარგი იქნება, თუ სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგები გააკეთებენ კურიკულუმის დანერგვა-განხორციელების პროცესის რეფლექსიას, შედეგებს გააზიარებენ კათედრაზე და მომავალ სასწავლო წელს გაითვალისწინებენ საგნობრივი კურიკულუმის შედგენის დროს.</p> <p>სახელმწიფო ენა - თითოეული თემის ფარგლებში შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები/აქტივობები უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.</p> <p>გზამკვლევად გამოიყენეთ საბაზო საფეხურის სტანდარტი.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია ყოველი თემის დასრულების შემდეგ განხორციელოთ ფესტივალი და წარმოაჩინოთ თქვენი შემოქმედებითი პროდუქტი გამოფენის ან კედლის გაზეთის სახით.</p>
<p>ინდიკატორი N2.1.2.2.</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით</p>	<p>მათემატიკა - კარგი იქნება, თუ გამოიკვეთება როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს შეფასების რუბრიკების შექმნის დროს.</p>

	განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია კურიკულუმში მიუთითოთ თითოეულ თემასთან დათმობილი საათების სავარაუდო რაოდენობა, ეს დაგეხმარებათ დროის სწორად განაწილებაში:
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სახელმწიფო ენა - სასწავლო შედეგების მიღწევის მიზნით სასურველი საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი იყოს თემატური კონტექსტური მაგალითები და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	სახელმწიფო ენა - მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი უზრუნველსაყოფად და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის გაზრდისთვის კურიკულუმის დაგეგმვისას სასურველია გათვალისწინებული იყოს სასწავლო მასალის დიფერენცირება და მრავალფეროვანი დამხმარე რესურსების გამოყენება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია პროექტული სწავლების დროს დიფერენცირების გათვალისწინებით მოსწავლეს მივცეთ არჩევანის საშუალება, რომ დავალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი (პლაკატის მომზადებით ან ბუკლეტის, პრეზენტაციის, კედლის გაზეთის, კომიქსის) სახით. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია პროექტული სწავლება დროს დიფერენცირების გათვალისწინებით მოსწავლეს მივცეთ არჩევანის საშუალება, რომ დავალება წარმოადგინოს მისთვის სასურველი აქტივობით, მაგალითად დავალება შეასრულოს პლაკატის მომზადებით ან ბუკლეტის, პრეზენტაციის კედლის გაზეთის, ნახატის სახით.
ინდიკატორი N2.1.2.5.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა - კარგი იქნება, გადაიხედოს საგნობრივი სტანდარტი. გადამოწმდეს თემების შესაბამისობა სტანდარტთან და კურიკულუმში ჩარჩოს შესაბამის ველთან. საზოგადოებრივი მეცნიერებები - გეოგრაფიაში, ისტორიასა და მოქალაქეობაში კურიკულუმიდან გამომდინარე, ყველა შუალედური

		<p>მიზნების მიღწევების შესაფასებლად შეიქმნას კონკრეტული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.</p> <p>სახელმწიფო ენა - საშუალო საფეხურზე განხორციელებული აქტივობები შეფასდეს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის შეფასება);</p> <p>განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოებისას შეფასება გამოკვეთეთ გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან (საფეხური შედეგი, სამიზნე ცნება) მიმართებით, კონკრეტულ ინდიკატორზე დაყრდნობით.</p>
<p>ინდიკატორი N2.2.1.3</p>	<p>სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;</p>	<p>მათემატიკა - სასურველია, წინასწარ შემუშავებულ შეფასების რუბრიკებს იცნობდნენ მოსწავლეები. შესაძლებელია მათი თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრა. კარგი იქნება თუ ისინი თვალსაჩინო ადგილზე იქნება გამოკრული.</p> <p>მათემატიკა - კარგი იქნება, თუ მოსწავლეთა შეფასებების ვერიფიკაციის მიზნით შემაჯამებელი დავალებების ანალიზთან ერთად იარსებებს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის სხვა ფორმაც მაგალითად მოსწავლეთა პორტფოლიო, სადაც მოსწავლეები შეაგროვებენ საკუთარ ნამუშევრებს, წარადგენენ პედაგოგებთან და მოხდება მათი ნამუშევრების შეფასება საერთო კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკებით.</p> <p>სახელმწიფო ენა - სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლე და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას.</p> <p>უცხოური ენები - სასურველია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შექმნის დროს გამოყენებული იყოს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით.</p> <p>ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია წინასწარ შემუშავებული შეფასების სისტემა თითოეულ თემატიკასთან</p>

		დაკავშირებით გააცნოთ მოსწავლეს და გამოაკრათ თვალსაჩინო ადგილას. ეს დაგეხმარებათ თქვენი შეფასება იყოს მეტად გამჭვირვალე.
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;	მათემატიკა - კარგი იქნება, თუ შემუშავდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განსაზღვრის წესი.
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწე უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია წყლის ავზის ნაცვლად მარაგდებოდეს გამდინარე წყლის სისტემით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

წინა ვიზიტის (წარმოების ტიპი - ავტორიზაცია, შეფასების თარიღი: 18, 19, 20 ოქტომბერი, 2022 წ.) დასკვნის ფორმის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დარღვეული ჰქონდა გარკვეული ქვესტანდარტები. კერძოდ,

- სსსმ მოსწავლის ინტეგრაციის მიზნით სკოლას არ ჰქონდა კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებები გატარებული (ისგ, ჯგუფი, ისგ გეგმა და სხვ.). ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია და დარწმუნდნენ, რომ პროცესები კანონით დადგენილი წესით მიმდინარეობს;
- ხარვეზი - „სკოლაში არ არის წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“ - არ იყო აღმოფხვრილი. დაწესებულებას მიმდინარე ვიზიტის ფარგლებშიც არ ჰქონდა შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;
- სკოლის შიდა პერიმეტრი სრულად კონტროლდებოდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, რაც წინა წარმოების დროს არ იყო უზრუნველყოფილი;
- ხარვეზი - „სკოლის მასწავლებლები არ არიან შერჩეულნი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად“ - სრულად არ იყო უზრუნველყოფილი. კერძოდ, პედაგოგების ნაწილს არ ჰქონდა სტატუსი. მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა, გარკვეულ შემთხვევებში, აღემატებოდა 9 (ცხრა) საათს;
- სკოლამ შეიმუშავა თანამშრომლების პროფესიული განვითარების მექანიზმები, რაც წინა წარმოების ფარგლებში არ იყო გათვალისწინებული.

- დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე (წინა წარმოება) შეცვალა/დახვეწა სასკოლო სასწავლო გეგმის ფორმატი;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მოეწყო სველი წერტილი და გამწოვი კარადა;
- სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო (მცირე რაოდენობით) მხატვრული ლიტერატურით;
- შეიქმნა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის სისტემა, რაც წინა წარმოების პროცესში არ იყო უზრუნველყოფილი;
- დაწესებულებამ მოიყვანა შესაბამისობაში ხელშეკრულებები, სამტატო განრიგი და მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში მოკლევადიან პერიოდში მისაღწევი მიზნები არ არის გაწერილი. მისია განსაზღვრავს - თუ როგორი უნდა იყოს მოქალაქე, რომელსაც აღზრდის სკოლა. სკოლის მისია წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ექსპერტებმა განიხილეს არსებული მისია და ხედვა და გარკვეული რჩევები მიაწოდეს სკოლას მისიის ფორმატთან და შინაარსთან დაკავშირებით, რათა ახალ ფორმულირებას ზედმიწევნით კარგად წარმოეჩინა სკოლის იდენტობა, დაწესებულების მთავარი მახასიათებლები. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს მისიის ფორმატზე - სკოლის მისია საკმაოდ ვრცელია. გარდა ამისა, არსებული მისია ზოგადი ხასიათის არის და მასში ასახული ასპექტების შესრულება ისედაც, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზანს წარმოადგენს. სკოლის დირექციის

წევრებმა სრულად გაიზიარეს ექსპერტების რჩევები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ სკოლის ახალი მისიის შედგენისას/რევიზირებისას გაითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის მოქმედი მისი, ხედვა და ღირებულებები ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც მხოლოდ ფიზიკური გარემოს კონტროლს არ გულისხმობს და მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც განაპირობებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას გააზრებული აქვს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში მონაწილეობდა სასკოლო საზოგადოება, თუმცა, სკოლას დოკუმენტურად, ან რაიმე სხვა მტკიცებულებებით აღნიშნული არ აქვს დადასტურებული. **ექსპერტებმა რჩევით მიმართეს დაწესებულებას - მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენისას გაიზიარონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები და უზრუნველყონ აღნიშნულის დადასტურება მტკიცებულებების იმ ფორმით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება მათთვის. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების ფილოსოფია გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოების მიერ, თუმცა, არა ფართო მასებისთვის/ყველა დაინტერესებული პირისთვის (მშობელი, მოსწავლე). კერძოდ, როგორც აღინიშნა, სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები მონაწილეობდნენ სკოლის ფილოსოფიის შედგენის პროცესში და შესაბამისად, მათი თანამონაწილეობა ადასტურებს გაზიარების პროცედურებს. **ექსპერტებმა რჩევით მიმართეს დაწესებულებას - უზრუნველყონ სკოლის ფილოსოფიის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის და გაითვალისწინოს მათი უკუკავშირი სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ფორმირებისას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფიის ნაწილში. სკოლას აქვს ვებ. გვერდი, სადაც შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაშიც (2023-2030 წ.წ.) წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. წარმოების ფარგლებში ექსპერტების მიერ გამოიკვეთა ახალი გარემოება, კერძოდ, სკოლის სახელწოდებამ განიცადა ცვლილება. ნაცვლად, სასწავლებლის სტატუსისა, დაწესებულებას მიენიჭა სკოლის სახელი და მისი სახელწოდება ჩამოყალიბდა, როგორც „შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლა“ (საფუძველი: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან). შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმა (2023-2030 წ.წ.);
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

- სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებლის დირექტორის ბრძანებით N58¹, 04.09.2023წ. დამტკიცდა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელმაც განსაზღვრა სკოლის ფილოსოფიის დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი ეტაპები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები და ჩართულ მხარეები. ზემოაღნიშნული წესი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2023-2030 პერიოდს და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სტრატეგიული გეგმის შედგენას წინ უძღოდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი - SWOT-ანალიზი, რომლის მეშვეობითაც გამოიკვეთა სკოლის შესაძლებლობები და გარემო. საბოლოოდ, შვიდწლიან გეგმაში გამოიკვეთა 5 (ხუთი) სტრატეგიული მიზანი და მიზნების შესაბამისი ამოცანები. დოკუმენტში მითითებულია პერიოდულობაც - შესრულების ვადები. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას - აღნიშნული დოკუმენტურად, ან, სხვა რაიმე მტკიცებულებით არ არის დადასტურებული. **ექსპერტებმა რჩევით მიმართეს დაწესებულების წარმომადგენლებს - სტრატეგიული გეგმის შედგენისას გაიზიარონ სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები და უზრუნველყონ აღნიშნულის დადასტურება მტკიცებულებების იმ ფორმით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება მათთვის. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კორელაცია სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმას შორის დადასტურდა დოკუმენტაციის განხილვის პროცესში - 7 წლიანი გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები ასახულია 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიან გეგმაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ექსპერტებმა განიხილეს სამოქმედო გეგმის ფორმატიც, რომელიც არ იყო სრულყოფილი. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული გაზომვადი ინდიკატორები (რაოდენობრივი, ან, ხარისხობრივი) და შესაბამისი რესურსები (მატერიალური, ადამიანური და ფინანსური), რაც საჭირო იქნებოდა კონკრეტული აქტივობების განხორციელებისთვის.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა კორექტირებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაითვალისწინა ექსპერტების მიერ დადგენილი ხარვეზი და შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- SWOT-ანალიზი;
- სკოლის დირექტორის N58¹, 04.09.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, აგრეთვე, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. შეფასების შედეგები სკოლის დირექციას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. ვიზიტის დროს ექსპერტებმა განიხილეს შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელიც საკმაოდ ვრცელია (6 გვერდი) და მოიცავს ინფორმაციას 2023-2024 სასწავლო წლის გეგმაში წარმოდგენილი პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ანალიზს. რაც შეეხება სტრატეგიული განვითარების გეგმა - სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით მონიტორინგი განსაზღვრულია შვიდწლიანი პერიოდის შუაში, დოკუმენტის შემუშავებიდან 3,5 წლის ვადაში. შესაბამისად, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას განეხილათ სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის და შეფასების შესახებ მონაცემები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები საჯაროა. დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე. დოკუმენტში ასახულია 5 პრიორიტეტული მიმართულების განხორციელების შესახებ დეტალური ინფორმაცია. რაც შეეხება სტრატეგიული განვითარების გეგმას (2023-2030 წელი) განხორციელების შედეგები ხელმისაწვდომი იქნება ვადის გასვლის დროს, ასევე, შუალედური შედეგები - დოკუმენტის დამტკიცებიდან 3,5 წლის შემდეგ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. ის, რომ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის ცნობილი გახდა ექსპერტებისთვის სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. სამოქმედო გეგმის ანგარიშში ასახული საკითხები დეტალურად აღწერს წლის განმავლობაში დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს - იმ ასპექტებს, რომლებიც გამოიკვეთა სამუშაო პროცესში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში (2023-2024 სასწავლო წლები);
- 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის დირექტორის N58¹, 04.09.2023წ. ბრძანებით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციულ მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, მის სტრუქტურას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. დებულებაში დეტალურად არის აღწერილი სკოლის სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებიც განსაზღვრავს მხარეთა ვალდებულებებს. დაწესებულებაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, ამ დოკუმენტის მიხედვით სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის მართვის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი. ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები ხორციელდება სკოლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და იგი გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და განვითარებისათვის. სკოლას

შემუშავებული აქვს „პერსონალის ფუნქციები“- ს დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად გაწერილია სკოლის პერსონალის უფლება-მოვალეობები. დაწესებულებაში შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ამოცანებია 1. დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა. 2. დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, 3. დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც დაწესებულების საქმიანობის და მიმდინარე პროცესების ორგანიზების წინაპირობაა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუების პროცესში იკვეთება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულები კარგად აცნობიერებენ საკუთარ მოვალეობებს და მათი საქმიანობის გავლენას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. დირექცია თვალს ადევნებს სკოლაში დასაქმებული პირების საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფს პროცესების მართვა/კორექტირებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება
- განათლების ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- შრომითი ხელშეკრულებები.
- პერსონალის ფუნქციები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის დებულება - შესაბამისად, რომელშიც დეტალურად გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ამ დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეულ პოზიციისთვის. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის. სკოლის შინაგანაწესი აღწერს სკოლაში არსებულ სამუშაო გარემოს - სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შევებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მე-19 მუხლში გაწერილია თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს დაწესებულებაში შესრულებული სამუშაოს შეფასება. ამავე დოკუმენტის მე-20 მუხლით გათვალისწინებულია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების პროცედურა. მასწავლებლის, ან სხვა თანამშრომლის გაცდენის შემთხვევაში, სკოლის დირექცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას - ხდება კოლეგის მიერ მასწავლებლის ჩანაცვლება. სკოლის პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა პერიოდულად ახდენს ადამიანური რესურსების საჭიროებების კვლევასა და ანალიზს წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, რაზეც მეტყველებს სკოლის მიერ ორგანიზებული ზეპირი გამოკითხვები. წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დგინდება შემდგომი ინტერვენციები როგორც საკუთარი რესურსით, ასევე, გარე მომწოდებლების მიერ ორგანიზებული აქტივობების საფუძველზე. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შემუშავებული საჭიროებათა პაკეტი (2023-2024 ს/წ), რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ შესასრულებელი აქტივობები. აღსანიშნავია, რომ შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის დებულება მოიცავს თითოეული თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალს, რაც

საშუალებას მისცემ დაწესებულებას უზრუნველყოს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრული შერჩევის ეტაპების განხორციელება. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი გაწერილი აქვს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით. ზემო აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, სკოლა ადგენს შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლის მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. სკოლის შინაგანაწესშიც გაწერილია (VIII თავი-მასწავლებლის სამსახურში მიღება), რომ სკოლაში მასწავლებლის მიღება ხდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“-ს დადგენილი წესების მიხედვით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანება, 2019 წლის 20 აგვისტო); ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას განიხილეს, სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ნაწილს არ აქვთ წარმოდგენილი შესაბამისი ცნობები ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა დასაქმებულთა ცნობები (გარდა 5 თანამშრომლისა). შესაბამისობის გეგმაში ცნობების წარმოდგენის ბოლო ვადად მითითებულია 31.12.2024წ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. ექსპერტებმა განიხილეს პედაგოგების მონაცემები (მინიჭებული სტატუსები) სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღმოჩნდა, რომ Eschool-ის ბაზაში ზოგიერთ მასწავლებელს, რომელთაც დადასტურებული ჰქონდათ საგნობრივი კომპეტენცია (სულ 5), არ ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი ასახული, ვინაიდან სკოლამ სტატუსის მინიჭების მოთხოვნით არ მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს. ხოლო ერთ, უსტატუსო მასწავლებელს გავლილი ჰქონდა მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა. ექსპერტები გაეცნენ შრომით ხელშეკრულებებსაც. Eschool-ის ბაზისა და მასწავლებელთა ხელშეკრულებების დათვალიერებით გაირკვა, რომ სკოლის ზოგიერთი მოწვეული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ 9 საათს. ექსპერტების სკოლაში ვიზიტის დრო დაწესებულებამ გამოაცხადა აღნიშნულ საათებზე ვაკანსია <https://teacherjobs.ge>-ზე, რაც დასტურდება სკოლების ვაკანსიის გვერდის დათვალიერებით. სკოლამ გარკვეული ცვლილებები განახორციელა პედაგოგთა ხელშეკრულებებშიც და საათობრივ ბადეში. გარდა ამისა, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის სხვა თანამშრომლების (გარდა მასწავლებლებისა) პირადი საქმეები და აღმოჩნდა, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკალიფიკაციო მოთხოვნებს (საფუძველი:

დირექტორის ბრძანება N83¹ , 03.09.2024წ. ,, შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები). არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სკოლამ მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს მასწავლებელთა სტატუსის მინიჭების მიზნით. გარდა ამისა, გამოაცხადა ვაკანსია იმ პოზიციებზე, სადაც მოწვეულ მასწავლებლებს 9 საათზე მეტი აქვთ. ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ განსაზღვრა შესაბამისი ვადები, კერძოდ, 07.11.2024 - 15.06.2025წ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

5.სკოლაში პერსონალის მართვა დამყარებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე. აღნიშნულზე მეტყველებს სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები. დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიღება ერთპიროვნულად არ ხდება. პროცესები შეჯერებულია და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სკოლის დირექციასთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა წინასწარ შედგენილი კითხვარის გამოყენებით ახდენს სკოლის საჭიროებების კვლევას, პრიორიტეტების დასახვას. თუმცა, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულების სახით მხოლოდ შედგენილი კითხვარის ფორმები. სკოლას შედეგების ანალიზისა და შეფასების დოკუმენტაცია (მაგ: ოქმი და ა.შ) არა აქვს წარმოდგენილი. სკოლას მიეცა რჩევა, აწარმოოს სასკოლო საზოგადოების შეხვედრების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც გამოადგება სკოლაში მიმდინარე პროცესების შემდგომი დინამიკის თვალსაჩინო ხედვისთვის/შედეგებისთვის, რევიზიისთვის. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6.შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლის შინაგანაწესის X თავი განსაზღვრავს დასაქმებულის წახალისების ფორმებს. პედაგოგების პირად საქმიეებში წარმოდგენილი მადლობის სიგელები, რომლებიც გადაეცათ სკოლის პედაგოგებს სკოლის დირექციიდან, ნათელი მაგალითია იმისა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პედაგოგთა წახალისებას. მათ შორის არის მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი(ფულადი) პრემიის გაცემა. როგორც ირკვევა, სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის სკოლის მიერ დასაქმებულთა მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას კოლექტიური წახალისების ფორმა - ექსკურსიის დაფინანსება, ასევე, დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- სკოლის ბიბლიოთეკარის ტრენინგის ,, სკოლის თანამედროვე ბიბლიოთეკარი ‘ გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.მადლობის სიგელი;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების ცნობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი სახელწოდებით - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია, სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება, მასწავლებელთა შიდა შეფასება-მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. საქმეშია ზემოაღნიშნული ჯგუფის მიერ შემუშავებული საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტი, კითხვარები, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის შეფასებას, რის საფუძველზეც დგინდება მათი საჭიროებები და იგეგმება შემდგომი ინტერვენციები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მუხლი 20-ის მიხედვით, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. პროფესიული განვითარების მიზნით, დაწესებულებას სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2023-2030წწ.) სკოლის მესამე სტრატეგიული მიზნის „სკოლის ადამიანური რესურსის განვითარება“ შესასრულებლად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ამოცანა - პროფესიული განვითარების საჭიროების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების ღონისძიებების განხორციელება. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. სკოლას შედგენილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა 2024-2025 სასწავლო წლისთვის, სადაც მითითებულია შესრულების დრო და პასუხისმგებელი პირები. აღსანიშნავია, რომ სკოლის თანამშრომლების პირადი საქმეების დათვალიერებისას, ექსპერტებმა განიხილეს სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სერტიფიკატები, ცნობები, ტრენინგის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლა ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, რასაც ცხადყოფს სკოლის მიერ თანამშრომლებისათვის შეთავაზებული აქტივობები. ეს პროცესები აისახება თანამშრომელთა კარიერულ ზრდაზეც. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების მიზნები (მუხლი 3) და ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანები (მუხლი 4), ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება (მუხლი 20) და ა.შ. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის განხილვისა და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. მაგალითისთვის, სკოლამ

სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულ თანამშრომლებს შესთავაზა ტრენინგები, რაზეც მოწმობს მათ პირად საქმეებში არსებული მტკიცებულებები - ბიბლიოთეკარის ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, პედაგოგების სერტიფიკატები პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები (მუხლი 18). სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით -, ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების და ადაპტაციის წესი“. დოკუმენტის მიხედვით, შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლაში ადაპტაცია მოიცავს შემდეგ ფაზებს: 1. სამუშაოზე გამოსვლამდე პერიოდი. 2. პირველი სამუშაო დღე. 3. პირველი სამუშაო დღიდან ორ კვირამდე. 4. პირველი 3 (სამი) თვე. დოკუმენტს ახლავს 3 დანართი: **დანართი №1.** ადაპტაციის პროცედურებისათვის შემუშავებული აქტივობების გეგმა. **დანართი №2** კათედრის ხელმძღვანელის გეგმა ახალი თანამშრომლის ადაპტაციასთან მიმართებით. **დანართი №3** თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის უკუკავშირი. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში ადაპტაციის პროცესი გათვალისწინებულია სხვა შემთხვევაშიც (მაგ: როდესაც ორგანიზაციის შიგნით თანამშრომელი გადაინაცვლებს ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაზე, სამუშაო ადგილზე დაბრუნება დეკრეტული შვებულების ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამუშაოზე ადაპტაცია, ადაპტაციის პროცესში მონაწილე მხარეები და მათი როლები და სხვა). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში აღწერილია თანამშრომელთა მოტივაციის მექანიზმები, რომლის საფუძველზე განხორციელდება დასაქმებული პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა. როგორც ირკვევა, სკოლა თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. დაწესებულების დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლის ბიუჯეტში (სხვა ხარჯები) ასევე ითვალისწინებენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსურ სახსრებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის განვითარების სტრატეგიული(2023-2030წწ) გეგმა
- სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტი.

- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღების და ადაპტაციის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის თანახმად, სკოლაში დანერგილია შეფასების ორი მექანიზმი: შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაც, სახელწოდებით, საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტი (2023-2024 სასწავლო წელი), სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი სკოლის მიერ განსახორციელებელი საქმიანობები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სტანდარტებთან (საგანმანათლებლო პროგრამები, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროცესები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების იდენტიფიცირებას. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები კარგად აღწერს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მმართველობითი პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება. დეტალურია დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და იგულისხმება: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსების მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსების მართვა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება; თითოეული მიმართულებისთვის შედგენილია მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც განაპირობებს პროცესების ორგანიზებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. სკოლას შედგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლის განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. ექსპერტები მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუების დროს დაინტერესდნენ, დისციპლინური წარმოების სტატისტიკით. როგორც აღმოჩნდა, ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში დისციპლინურ გადაცდომა სკოლაში არ დაფიქსირებულა. აღნიშნულის მიზეზად სასკოლო საზოგადოებამ დაასახელა უსაფრთხო და თანამშრომლობითი გარემო, რომელიც უზრუნველყოფილია სკოლაში. დეტალურად აღწერს დაწესებულებაში საჩივრის განხილვის პრინციპებს, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს, განცხადების განხილვის ზოგად წესებს და ვადებს.

მე-2 თავი აღწერს ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს. მე-3 თავი თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4.სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის და მშობლების უფლებამოსილება, ასევე, გაწერილია მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ამ ხელშეკრულების მიხედვით, სკოლა იღებს ვალდებულებას სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი (მუხლი 3). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.
- ხელშეკრულება ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრუქტურული ერთეულების მუშაობა სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) ჩართულობის საფუძველზე ხორციელდება. მშობლები, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები იცნობენ სკოლის პოლიტიკის და მართვის დოკუმენტებს, დებულებებს, მარეგულირებელ წესებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის დოკუმენტაციის განხილვისას, ექსპერტები გაეცნენ კითხვარებს, რომლებსაც სკოლა იყენებს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასებისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულებაში დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანოების ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი. სკოლაში ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სადაც ყველა წევრს აქვს თანაბარი ხმის უფლება, აზრის, იდეის, შენიშვნისა თუ რეკომენდაციის გაცემის საშუალება. სკოლას ასევე აქვს დამტკიცებული დოკუმენტი „მშობლებთან კომუნიკაციის წესი.“ ამ დოკუმენტის მიზნებია:

- მშობელთა/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ხელშეწყობა სასკოლო ცხოვრებაში;
- მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების და სხვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე;
- მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა;
- მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე;
- კეთილგანწყობილი, მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- სასწავლო პროცესის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების ხელშეწყობა; **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს დებულება.
- კათედრის დებულება.
- მშობლებთან კომუნიკაციის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით №83¹ დამტკიცებულია „სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.“, თუმცა იგი არ არის შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. დაწესებულებაში განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. შენობა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულებამ წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც განხორციელდა 2024 წლის აგვისტოს, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. საქმეშია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (№ 007105124, 9 .10. 2024 წ.), რომლის თანახმად, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერებით დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა და შენობა უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის. დაწესებულების შესაბამისობის გეგმის განხილვისას დადგინდა, რომ მათ მიმართეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს „სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ შეთანხმების მიზნით და შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განისაზღვრა 07.11.2025წ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის № 1 სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით „პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, სკოლა აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს, სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმას და იცავს წარმოებული ინფორმაციის კონფიდენციალობას. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის სამედიცინო კაბინეტი, გაირკვა, რომ სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია ექთანი. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ გამოაცხადა ექიმის ვაკანსია

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ გადმოაგზავნა ფოტომასალა, რომელზეც აღბეჭდილია გარკვეული პრეპარატები, ასევე, სამედიცინო აღჭურვილობა, თუმცა, აღნიშნული ექსპერტებისთვის არ წარმოადგენს მტკიცებულებას. როგორც შესაბამისობის გეგმიდან ირკვევა, სკოლამ შეიძინა სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო მედიკამენტები და სამედიცინო აღჭურვილობა. მიუხედავად იმისა, რომ ექიმის ვაკანსიაზე სკოლამ ვერ შეარჩია კანდიდატურა, იგი გეგმავს განმეორებით გამოაცხადოს ვაკანსია, კადრის შერჩევამდე. შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განისაზღვრა 15.06.2025წ. ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3.სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი სახელწოდებით „ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები,“ რომლის მიზანია: სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიების უზრუნველყოფა:

- ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება;
- ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა;

სკოლის პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა მკაცრად აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების გადაადგილებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ფსიქოლოგის მომსახურებით. სკოლაში დასაქმებული ფსიქოლოგის ძირითადი მოვალეობა მოსწავლეთა მხარდაჭერაა. მოსწავლეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილია - სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი, რომელიც სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5.სკოლის ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს შენობის დასუფთავებას, ასევე, კანონმდებლობის ფარგლებში სკოლის ექთანი ახორციელებს აღნიშნულის მონიტორინგს. პერსონალის ფუნქციები გაწერილია მათ ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. დაწესებულებას გააჩნია მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვის წესი. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შედგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონის შესაბამისად. როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებლების პირად საქმეებში წარმოდგენილია მათი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობები პერსონალური მონაცემების საგანმანათლებლო მიზნებისათვის დამუშავებასთან დაკავშირებით. ექსპერტებმა განიხილეს დაწესებულებასა და სკოლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, სადაც მე-3 მუხლი 6.6. ქვეპუნქტი (მხარეთა უფლება-მოვალეობები) არეგულირებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მისი შვილის პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელებასთან დაკავშირებით. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ეს ინფორმაცია ასახული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვებ გვერდზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც დეტალურად აღწერს სკოლის საქმიანობის სპეციფიკას აღნიშნული მიმართულებით. სკოლა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, ასევე მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებას ისე, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. სკოლამ ვერ წარმოადგინა ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პერიოდული შეფასების ამსახველი მტკიცებულებები. შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სკოლამ მოიწვია მოსწავლეები, მშობლები საინფორმაციო შეხვედრაზე. მათ შეავსეს კითხვარები ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგები გაანალიზდა. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წესრიგის დაცვის წესი;
- საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა

- დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის - 30.08.2024 წელი შეთანხმების წერილი MIA 4 24 02647211;
- პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- პერსონალისა და მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის მექანიზმები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლების დაცვისა და გარანტიების მექანიზმები;
- ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი.

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.5.მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1.სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლა განთავსებულია ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა № 9 (საკადასტრო კოდი № 03.04.21.162), მიწის დაზუსტებული ფართობი 2421.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობის №1-1765.22 კვ.მ. სკოლის შენობა 3 სართულიანია. დაწესებულებას აქვს გამართული ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, რესურს ოთახი და სხვა დამხმარე სივრცეები. სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია საკმაოდ დიდ და ნათელ ოთახში, ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო სივრცე, რომელიც აძლევს საშუალებას როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს ისარგებლონ იქ არსებული წიგნადი ფონდით. აქვე განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკაც. ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც საკლასო სახელმძღვანელოებით, ასევე კლასგარეშე ლიტერატურითაც. წიგნები დამუშავებულია კანონით დადგენილი წესით. სკოლა ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით, სადაც მითითებულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი (ყოველდღე, შაბათ-კვირისა და შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა, 09:00 საათიდან 16:00 საათამდე), ინფორმაცია საბიბლიოთეკო დოკუმენტის (რესურსის) გატანა-დაბრუნების შესახებ, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები და ა.შ. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე, რომელზეც სკოლის ფართი იჯარის წესით არის გაცემული. აღსანიშნავია, რომ წრე ფუნქციონირებს დღის მეორე ნახევარში, სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ როგორც დაწესებულების მოსწავლეებისთვის, ისე სხვა სკოლების მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის- სკოლის მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. სპორტული დარბაზი - სკოლის მიერ დაგეგმილი სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისთვის გამოიყენება. დაწესებულებას შედგენილი და დამტკიცებული აქვს სკოლის ბიბლიოთეკით და ლაბორატორიებით სარგებლობის წესები. საკლასო ოთახებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები და სხვა სასარგებლო რესურსი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

3. სკოლის გარემო ადაპტირებულია. სკოლის შენობის სამივე სართულზე გადასაადგილებლად სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები დამონტაჟებული. შენობაში მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, ეზო) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლისათვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის - სკოლის მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. სპორტული დარბაზი - სკოლის მიერ დაგეგმილი სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობების განხორციელებისთვის გამოიყენება.. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე, მხატვრული, სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლის ელექტრონული რესურსი უზრუნველყოფს ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლის კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას და დადებითად აისახება მათ განვითარებაზე. კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ვხვდებით სამივე საგნისთვის განკუთვნილ ხელსაწყოებს, პრეპარატებს, ლაბორატორიაში ასევე არის გამწოვი კარადა და სველი წერტილიც. სკოლას გამოყოფილი აქვს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სკოლაში ფუნქციონირებს გამართული კომპიუტერები, ყველა მათგანი ჩართულია ინტერნეტის ქსელში, კომპიუტერებზე დაინსტალირებულია სასწავლო პროცესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
- დომენის ფლობის დამადასტურებელი ინვოისი
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. პერსონალური კომპიუტერები, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი, სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლას აქვს პრინტერი/ქსეროქსი. ტექნოლოგიები ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლის ადმინისტრაციის და პერსონალის კაბინეტებშიც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ადმინისტრაციული პროცესის წარმართვისთვის გამოიყენება (Eschool, skool-book). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობა, ხოლო მე-8 მუხლით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი პირის ფუნქციები. ლაბორატორიის ხელმძღვანელად განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ (შიდა სასკოლო დოკუმენტების საწარმოებლად) №DOC-26824-081, 26.08.2024 წელი.
- დომენის ფლობის დამადასტურებელი ინვოისი
- ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმის წარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება საქმისწარმოებას ახორციელებს დადგენილი წესის მიხედვით, კერძოდ, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის №1 სკოლის საქმისწარმოების წესით. წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სარეგისტრაციო ჟურნალები. კერძოდ, სკოლაში ვხვდებით: შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალს, საერთო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს, საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალს, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს, და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია და აკინძულია სათანადო წესით. ექსპერტების ყურადღება მიიქცია შპს ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის N1 სასწავლებლის დირექტორის ბრძანებამ N83¹, 03.09.2024წ., რომლითაც დამტკიცებულია სკოლის სხვადასხვა, შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული მარეგულირებელი დოკუმენტები.

დაწესებულებას მიეცა რჩევა - უზრუნველყოს რეგულაციების დამტკიცება ინდივიდუალური აქტებით, ასევე, ნუმერაციის მინიჭების დროს არ გამოიყენოს „პრიმი“ სიმბოლო. ასევე, მნიშვნელოვანია, დაწესებულებამ ნუმერაციის დროს ათვლა განახორციელოს არა სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, არამედ, კალენდარული წლის შესაბამისად (რეკომენდაციის საფუძველი დაწესებულების პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების ნომრები). ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენების შესახებ ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე (შიდა სასკოლო დოკუმენტების საწარმოებლად) №DOC-26824-081, 26.08.2024წ., რომლის თანახმად, მომხმარებელს საშუალება ექნება გამოიყენოს სისტემა სასკოლო საქმიანობისთვის. თუმცა, ვიზიტის დროს დაწესებულება არ იყენებდა დოკუმენტრუნვის ელექტრონულ სისტემას. სკოლისთვის ხელმისაწვდომია მართვის საინფორმაციო სისტემას (eSchool), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების მონაცემები და სხვა საჭირო ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმით დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, საიდანაც ირკვევა, რომ მუშაობის პროცესში სკოლის თანამშრომლებმა დაიწყეს დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემის გამოყენება. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

3. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მონაცემები ისქულის ბაზაში. როგორც აღმოჩნდა, დაწესებულებას არ ჰქონდა მონიშნული eschool - ის ბაზაში მოწვეული მასწავლებლის სტატუსები (პირების მენეჯერი). ვიზიტის დასრულებამდე სკოლამ უზრუნველყო ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორება. საბოლოო ჯამში, ინფორმაცია სრულყოფილად იყო ასახული. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და ა.შ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხელშეკრულება სისტემის ლიცენზიის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ (შიდა სასკოლო დოკუმენტების საწარმოებლად)
- №DOC-26824-081, 26.08.2024 წელი.

- ვიზუალური დათვალიერება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ. გვერდი <http://gogebashvili.com/> და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ გვერდი ინფორმაციულია, მასზე წარმოდგენილია - მონაცემები სკოლის შესახებ, განხორციელებული აქტივობები, სკოლაში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები, გაკვეთილების განრიგი, ინფორმაცია სიახლეების შესახებ და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
2. დაწესებულება ახორციელებს თავისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული დადასტურდა სკოლის ვებ. გვერდის დათვალიერებისას. კერძოდ, სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტებით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
3. სკოლაში პერიოდულად ხორციელდება სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით ინტერვენციების დაგეგმვა. როგორც მშობლებთან საუბრისას გაირკვა, სკოლა ღიაა

მათთვის, უყურადღებოდ არ ტოვებს და ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს თუ პოზიციას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. სკოლის ვებ. გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. როგორც უკვე აღინიშნა, ვებ. გვერდი ინფორმაციულია და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას სკოლის ფილოსოფიის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ. კერძოდ, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. დაწესებულების სტრუქტურა წარმოდგენილია სკოლის დებულებაში და აგრეთვე, გაზიარებულია ვებ. გვერდზე. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, განსახორციელებელი პროგრამის სახელწოდებები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები აღწერს 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში პრიორიტეტული მიმართულების შესრულების შედეგად არსებულ მონაცემებს. ვებ. გვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია დეტალურად აღწერს ჩარიცხვის პროცედურებს, გასაჩივრების მექანიზმებს, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სკოლის ვებ. გვერდის ვიზუალური დათვალიერება
- <http://gogebashvili.com>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. კერძოდ, სკოლის ფინანსური რესურსებია მოსწავლეებთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სწავლის გადასახადი, აგრეთვე, ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას ჰყავს ფინანსური მენეჯერი, რომლის ფუნქციაა უზრუნველყოს სახსრების სწორად და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, ფულადი სახსრებისა და მისთვის მინდობილი მატერიალური ფასეულობების დაცვა. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლის ფინანსური დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა საპროგნოზო მონაცემებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს ფინანსური მენეჯერი, უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;

- სამოქმედო გეგმა;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
